# სახალხო გაზეთი

№ 1054 ხუთშაბათი, 28 ნოემბერი 1913 წ. № 054

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-28

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ... 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


სოფელ შინდისში, 1 დეკემბერს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

## დომენტი შავიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მარიამ ოქროპირის ასული და შვილები ტიტე და ბუჟუჟა. 838

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 25—8.

## ქ-ნ ნინო ჩხეიძის ბენეფისი.

ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება პირველად ტფილისის ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა ჟულავსკისა

## ეროს და ფსიქეა,

6 მოქმ. თარგმანი ბაბილინასი.

მონაწილეობს მთელი დასი და სახალხო სახლის სცენის მოყვარენი.

დასაწყ. ზუსტად საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი მ. ქორელი. ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დამარცხებული რომი", „სინათლე", „დონ კარლოსი", „მარია სტიუარტი", „ჰამლეტი" და სხვ. 2599



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 28 ნოემბერს, 1913 წ. გამართება

## დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

უკანასკნელი დღეები ფალავანდთა.

დღეს ჭიდაობენ: გადამწყვეტი უკანასკნელი ჭიდაობა ივ. ჯაინისა და ვახტუროვისა; ამასთანავე კაინმა აღუთქვა, თუ ვინიცობაა დამარცხდა ახლად იჭიდაოს ვახტუროვთან რუსულ-შვეიცარიულ ქამრებიანი ჭიდაობით და თავის მხრივ იძლევა 100 მან. მატჩი ინგლისური ბოქსისა ციპსი და საბატიე, და თავისუფალი ამერიკული კაპიევი და ფონ სონადო.

837

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრების გაგრძელება

მოხდება კვირას, 1 ნოემბერს, „ახალ კლუბის" დარბაზში. 1611

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>მელიტიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^{1}/$<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$ |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება! და სხვა შეღავათიანი სადასყიდით. წ. 1466

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В. ВЕЛ. КН. НИКОЛАЯ МИХАИЛОВИЧА

## გამოშვებულია!!!

ახალი პაპიროსები

## ჩ „საგანგებო" ჩ 20 ცალი 5 კ

ეს პაპიროსები ჩაწყობილია უბრალო ყუთში, რაც შეძლებას იძლევა შიგ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

ЗАЯВ. ОТД. ПРОМЫШЛ ФАБРИЧ. ЗНАКЪ ТАБ. ФАБ. ВЪ ТИФЛИСѢ Н. Б. И. 1858 БОЗАРДЖІАНЦА

## იყიდება ყველგან

რადგანაც ჩვენი ეთიკეტების მდარე და უვარგის მიბაძვით ყალბი ეთიკეტების კეთებას ბოლო არ ეღება, რასაც ჩვენი მუშტრები შეცდომაში შეჰყავს, და არც გემოთი და არც ღირსებით ჩვენს თამბაქოსთან საერთო არა აქვს რა, ვსთხოვთ თამბაქოს მწევართ, ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის დამტკიცებულ მარკას და გ რბს.

## ს. ს. ბოზარჯიანცი შვილ.

ფ-რმა არსებობს 1858 წლიდან.

1496

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, ხელოვნების და საისტორიო მასალები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ქართლ ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ. | 3 მ. | грузинъ по Малой Азіи, | —60 „ |
| საქართ. ისტორია ვახუშტისა, | 2— | Матеріялы по Грузин. агіологіи | - 80 „ |
| „ „ ბაქრაძისა, | 1— | Правила VI Всел. Соб. | 1— „ |
| „ „ 1-ლი ნაწ. ბროსესი, | 70 კ. | ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи, | 40 „ |
| „ „ 2-რე ნაწ. „ | 70 „ | ხონელი Къ 100 лѣтію Крцанисской битвы, | —30 „ |
| ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში, | —50 „ | ახალი წიგნები: | |
| იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, | —25 „ | ქართული ენისთვის ბრძოლა. თ. ჟორდანიასი, | —20 „ |
| პარიზის ქრონიკა, | —30 „ | ისტორიული საბუთები წ. 2-რე ს. კაკაბაძე, | — 85 „ |
| Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I, | —40 „ | ორი ლექცია, ბ. ხერხეულიძისა, | — 30 „ |
| Багратъ Епископъ Товроменійскій | 1— | | |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія | | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე

**ბრიუკნერი ვ. ზ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფი ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**მინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604

## „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

**აცხადებს** კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამ წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

კიმონო

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საქარხნო მაღაზიაში (კუკიის ხიდზე № 23—24).

**მიღებულია დიდ-ძალი რჩეული შეკერილი ტანისამოსი კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის.**

აგრეთვე საუკეთესო კოსტიუმები კაცებისა და ქალთა ქვედა ტანი,

## ახლად მიღებული საქონელი:

იყიდება ძალიან იაფად სეზონიდან დარჩენილი საქონელი საქარხნო ფასებზე 30%-ის დაკლებით. ვიმედოვნებთ, რომ საქარხნო მაღაზიაში საქონლის მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე შეიძლება ყოველგვარი შეკვეთა.

1491 პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კიმონო

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. სემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ილისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სადგურის განყოფ. პირდაპირ. 102

ტფილისის ქართველ ქალთა

## საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და აგრეთვე მასალები ალმანახში მოსათავსებლად მიიღება საზოგადოების მდივნის **ნინო რცხილაძის ბინაზე** (მოსკოვის ქუჩა, № 9). 1597.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჭრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა. შეთანხმებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ...

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ. 9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ახლად გ ხსნილ მ ღაზიაში

## ამხანაგობა „გრამოფონი"-ს

პატრონნი

## აბგაროვი და ალაჯანოვი,

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკასიის" პირდაპირ.

მთელს ქვეყნიერობაზე საუკეთესო

## გრამოფონები და ფირფიტები

მარკით „მურ".

შეღავათიანის პირობებით, შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა. 1612

## ყვირილის სამარხი კასის გამგეობა

აღნიშნულ დაწესებულების წევრთ სთხოვს დაესწრონ კასის მორიგ

## წლიურ საზოგადო წევრთა კრებას,

რომელიც დანიშნულია **ხუთშაბათს, 28 ნოემბერს,** დილის 9 საათზე, **დ. ყვირილაში,** ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

**განსახილველი საგნები:**

1) 1911 და 1912 წლების ანგარიშების განხილვა-დამტკიცება.
2) მოხსენება გამგეობისა კასის საქმეთა შესახებ.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა.
4) არჩევა გამგეობის ორი წევრის და მათი კანდიდატებისა.
6) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა. 1594

## შრომა და ნაწარმოები

## დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

# სამკურნალო
## სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბელდიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელაწკე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოლოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვოროზიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპიზოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 | 4 ს.

**ბტენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., ხულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კოლამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.



# საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. Ӌ. 122



# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაზაკამე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**ნომერი „606"-ით** 1462



# ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით: სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608



**ექიმი მეიფარიანი** იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი**, ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, **ტელეფონი № 150.** 1855



**დოქტორი ი. ო. უალადნიკოვი**

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751



**ექიმი ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი** გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707



# მოსწიეთ ახალი პაპიროსები „ჩაიკა"

10 ცალი 3 კაპ. — 20 ცალი 6 კაპ.

ამხ. კოშელა. ტფილისში 1497



**ქ. გორში ექიმი (დოქტორანტი). გ. დ. წინამძღვრიშვილი** ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571



**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502



**ექიმი მღვდელი ს. ა. ლეჟავა** მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—57.** 779



**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.



**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.



**ექიმი გ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მიხაკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.


# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

**26 ნოემბრის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

მცირე განხილვის შემდეგ მიიღეს ტელეფონებისა მოწყობისა და სარგებლობის კანონ-პროექტი.

წინა სხდომაზე სათათბირომ საფინანსო კომისიას დაავალა სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოს მოხსენება მთავრობის კანონ-პროექტის მერვე განყოფილების თაობაზე, რომელიც ეხება ეროზიათა და ქალაქების საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**სიხალინოვ** კომისიის სახელით სთქვა, რომ კომისიას შეუძლებლად უცვნია კანონ-პროექტიდან ერთი თავის გამოცალკევება.

**ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი.**

მთავრობა დღეს საღამოთი შემოიტანს ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადების კანონ-პროექტებს.

მიიღეს ანტონოვის წინადადება, კანონ-პროექტი პირდაპირ საფინანსო კომისიას გადასცენ და კომისიამ ახლო მომავალში წარმოადგინოს მოხსენებაო.

მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც დაბალ სამეურნეო სასწავლებელთა სამღვთო სჯულის მასწავლებლებს ყოველ ხუთი წლის განმავლობაში მოემატებათ ჯამაგირი 25 მანეთი. მომატება ოთხჯერ იქნება.

**გოდნევი** მოხსენებას კითხულობს მთავრობის კანონ-პროექტზე, რომლითაც მთავრობა ითხოვს 6.992.770 მანეთს, რათა შეუსრულებელი ხარჯი გაისტუმროს. საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ სამხედრო უწყებამ საჭირო მასალა არ წარმოადგინა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად საჭიროა აღნიშნულ კრედიტის გაღება. აგრეთვე საჭიროა ამის თაობაზე ვიცოდეთ, თუ რა აზრისაა სახელმწიფო კონტროლი. ამ მოსაზრებით საბიუჯეტო კომისიამ შეუძლებლად სცნო სამხედრო უწყების შუამდგომლობის დაკმაყოფილება; წინადადება მისცა სათათბიროს, გაიგოს ამ კრედიტის თაობაზე სახელმწიფო კონტროლის აზრი და თვისი დადგენილება აცნობოს სახელმწიფო კონტროლსაო.

**სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსის თანაშემწე** ჩამოსთვლის სამინისტროს სხვა და სხვა საჭიროებას, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებლივ საჭიროა ეხლავე. სახელმწიფო კონტროლი თვის აზრს 4 თვეზე ადრე არ წარმოადგენსო და ამიტომ სთხოვს სათათბიროს, ეხლავე დააკმაყოფილოს სამხედრო სამინისტროს შუამდგომლობა.

**შინგარევი** საბიუჯეტო კომისიის აზრს იცავს.

სათათბირომ საბიუჯეტო კომისიის წინადადება მიიღო.

**შეკითხვა საქართველოში შიმშილობის გამო.**

სათათბირო შეუდგა საქართველოში შიმშილობის გამო შეტანილ შეკითხვის განხილვას.

შეკითხვა მიმართულია მეფის მოადგილისადმი, რა ზომებს იღებს იგი დასავლეთ საქართველოში შიმშილობის გამო დაზარალებულთა დასახმარებლად.

**ბურიანოვი** შეკითხვას მხარს უჭერს.

**მალკოვს** მოჰყავს ციფრები „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოამბიდან" და დაასკვნის, რომ შიმშილით დაზარალებულ გლეხთათვის უუსაჭიროესია დახმარების აღმოჩენაო.

**პაპაჯანოვი** მოვალედა სთვლის თავს უარჰყოს ფრიად გავრცელებული აზრი კავკასიის სიმდიდრეზე სამეურნეო დარგში. წელს კავკასიაში შიმშილობა ჩვეულებრივ ფარგლებს გასცილდა. ადგილობრივი მთავრობა ოდნავაც არ აქცევს ამ მოვლენას ყურადღებას და განაგრძობს ხელოიჯების აკრებას. სასურსათო დახმარება პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია. სათათბირომ უნდა მიიღოს ეს შეკითხვა, მოისმინოს კავკასიის უმაღლეს მთავრობის აზრი და მიუთითოს და განუმარტოს უკანასკნელს, თუ როგორ უნდა სასურსათო მოწყობა.

**გელოვანის სიტყვა.**

რადგანაც კავკასიაში ერობა არ არსებობს, დამშეულ ხალხზე მზრუნველობა მთლად მთავრობასა აქვს დაკისრებული. ამის შედეგად რას ვხედავთ? იმის მაგივრად, რომ ქუთაისის გუბერნიის დამშეულ გლეხებს მიაწოდონ სახსარი ლუკმა-პურის შოვნისათვის, მათ ართმევენ რამდენიმე ათას მანეთს უკანონო ჯარიმების სახით.

მეფის მოადგილის ბრძანებით ქუთაისის გუბერნატორმა გამოაცხადა, დამშეულ გლეხებს მიეცემათ სასურსათო ოლიზიილან დახმარება, მაგრამ იმ გაფრთხილებით, რომ თუ გლეხები ორ წლის განმავლობაში არ გადაიხდიან გაწეულ ხარჯს, ფულის გადახდა დაეკისრება ურთიერთთა თავდებობით სოფლის საზოგადოებებსო.

ამ რიგად, ურთიერთა თავდებობა დაგმობილია საშუდამოდ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში და კავკასიაში კი იგი კვლავ არსებობსო. გელოვანი აღნიშნავს, რომ პირადად იცნობს მან ქუთაისის გუბერნია და აუცილებლივ საჭიროებად ჰხედავს დაეხმარეთ ალმოუჩინონ დამშეულთ.

გელოვანი სურვილს გამოსთქვამს, ამ შეკითხვას დაჩქარებითი ბედი არ ეწიოს, მიღებულ იქნებაო; აგრეთვე საჭიროა კავკასიის მთავრობამ სწრაფად უპასუხოს ამ შეკითხვას და ისე არ დაიგვიანოს, როგორც კავკასიის რეფორმათა შეკითხვის პასუხი, რომელიც დღესაც არსად სჩანსო.

შეკითხვა ერთხმად მიიღეს.

მიიღეს რამდენიმე უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

შეკითხვა მიმართულია მთავრობისადმი, როდის შემოიტანს კანონპროექტს სახაზინო სამრეწველოებში ავადმყოფ მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

**შაგოვი და ტულიაკოვი** შეკითხვას მხარს უჭერენ. შეკითხვა სათათბირომ მიიღო რედაქციის მცირეოდენი შეცვლით.

სათათბირო შეუდგა თავმჯდომარის ამხანაგისა არჩევას. კანდიდატის დასახელების დროს **ვარუნ-სეკრეტმა** მიიღო 143 თეთრი კენჭი. დანარჩენმა კანდიდატებმა 15 ზე ნაკლები. კენჭი უყარეს ვარუნ-სეკრეტს; მიიღო 204 თეთრი და 108 შავი.

**ვარუნ-სეკრეტი** თავმჯდომარის ამხანაგის ადგილს იჭერს. ცენტრიტაში ცემით ეგებება **ვარონ-სეკრეტის** არჩევას. თავმჯდომარის ამხანაგმა კანოვალოვმა უარი სთქვა თავმჯდომარის უფროს ამხანაგობაზე. ამ თანამდებობაზე ვარუნ-სეკრეტი აირჩიეს.

სათათბირო საზღვაო მინისტრს შეკითხვით მიჰმართავს ობუხოვის ქარხნის მუშათა მდგომარეობისა და ეკონომიურ გაფიცვის გამო.

**ბადაევი** შეკითხვას იცავს და აღნიშნავს მუშათა აუტანელ მდგომარეობას. მუშები განუწყვეტლივ დღეში 12 საათსა მუშაობენ, ხელფასს სამუშაოში ხელფასს უსწორ-მასწოროდ აძლევენ. საექიმო დახმარება კვირაუქმე დღეებში არ აქვთ. ისე დღეებში კი არ სცალიანთ. მუშების ხელფასი ჯარიმების გადახდაში მიდისო და სხვა.

**მარკოვი მეორე** შეკითხვას იცავს, მაგრამ სულ სხვა მიზეზებითა და მოსაზრებით.

შემდეგი სხდომა 27 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **მამადავითის განათება.** კარგა ხანია ქალაქის გამგეობამ მამადავითის ქუჩებზე, მაგალითად ყიფიანისა-თხინვალისაზე, ფარნები ძველი ჩამოხსნა, რადგანაც განზრახ სხვა ჰქონდა ეს ქუჩები ელექტრონით გაენათებინა, მაგრამ დღემდე განზრახვა სისრულეში არ მოიყვანა და მცხოვრებნი სიბნელეში იმყოფებიან. მცხოვრებთ გამგეობას გუბერნატორთან უჩივლეს. გუშინ გუბერნატორთან ქალაქის გამგეობას პასუხი მოსთხოვა ამ საჩივრის გამო.

✦ **გუბერნატორმა დაამტკიცა:** თ. კ. მეცათუნოვი ახალ-ქალაქის მოურავად, ხოლო ს. კ. ხაჩატურიანცი—მის თანაშემწედ.

✦ „ახალი კლუბის" საბჭომ უკანასკნელ კრებაზე დაადგინა; მოიწვიოს მოსკოვიდან ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორი **დ. არაყიშვილი**, რომელიც დეკემბრის დამლევს ქართულ თეატრში რამდენიმე სიმფონიურ კონცერტს მოაწყობს. სხვათა შორის, შესრულებული იქნება მისი ახალი სიმფონიური ნაწარმოები „თუშის ქალის ცეკვა".

✦ **ნიჭიერ ჰუმორისტ დ. კლდიაშვილს** დაუწერია ახალი ერთ-მოქმედებიანი კომედია „უბედური", რომელსაც ამ სეზონში წარმოადგენენ ქართულ თეატრში. შინაარსი აღებული აქვს სოფლის ცხოვრებიდან.

✦ **ქალაქის საბჭომ** დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რათა ბელინსკისა და კირპიჩნი ქუჩის კუთხეში მდებარე სახლი და ადგილი მღ. კორნ. ელიზბარაშვილისა, იძულებით ჩამოერთვას კირპიჩი ქუჩის გასაფართოვებლად. სახლის პატრონს ქალაქის საბჭოს მიერ გადაწყვეტილ ღირებულებას მისცემენ. ასეთივე დადგენილება მიიღეს ვაკეში ქუჩების ძოსაწყსრიგებლად ზოგიერთ ადგილების ჩამოსაჭრელად.

✦ **შილოვისეულ სახლის ჩამონგრევის გამო.** 26 ნოემბერს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს საგანგებო კრება ჰქონდა იმის შესახებ, მიეცა თუ არა სამართალში გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო ქალაქის თვითმმართველობის მოხელენი. საკრებულომ საქმე სრულიად მოსპო ქალაქის გამგეობის თელის შემადგენლობის წინააღმდეგ. ამასთანავე საკრებულომ დაადგინა: 1) ქალაქის თვითმმართველობის სამშენებლო ნაწილის გამგეს თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს შენიშვნა მიეცეს, 2) თ-დ არღუთინსკი-დოლგორუკოვის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი მ. ნ. ათაბეგოვი გააფრთხილოს, რომ იგი თვის მოქმედების დროს წინდაუხედავად მოიქცა და 3) ტეხნიკოსი ჩისლიევის მოქმედების გამო დაინიშნოს წინასწარი გამოძიება.

✦ **ტფ. საკრებულომ** დაადგინა, მოკლე ხანში საკუთარი შენობა ააგოს ახლად შეძენილ მიწაზე გოლოვინის პროსპექტზე (იქ, სადაც ნიკიტინის ცირკი იყო). მიწის სამუშაო უკვე დაიწყო.

✦ 26 ნოემბერს დილის 5 საათზე ტფილისის მოქალაქემ მათე ნიკანორის ძემ **სოკოლოვმა ჩაქუჩით მოჰკლა თავისი ცოლი.** იგი პოლიციაში თვითონ გამოცხადდა. როგორც გამოირკვა, სოკოლოვი მეტად გარყვნილი კაცი ყოფილა, სასტიკად ეპყრობოდა თავის შვილებს და ერთი თავისი ქალი, 13 წლისა, გაუხრწნია კიდეც.

✦ **მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი,** როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ ტფილისის საპატივო მოქალაქედ აირჩია. დღეს, ნაშუადღევის 3½ ს., საბჭოს დავალებით მეფის მოადგილეს დეპუტაცია წარუდგება და ამ ამბავს მოახსენებს. დეპუტაციაში შედიან შემდეგი ხმოსნები: მილოვი, ვაჩნაძე, ჰრელაშვილი, ხუნდაძე, მიტკევიჩი, ალექსი-მესხიშვილი, ვასილიევი, ფიშერი, ევანგულოვი, ანტონოვი, ჟურული, ავთანდილოვი, ხუნუნცი, ლუხკევიჩი, ბეზობრაზოვი, ალიხანოვი, ბაბოვი, ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ოსტროგორსკი.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** ბალანსი უკვე შეადგინა საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა კრებამ.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის** კრება დღეისთვის არის დანიშნული 1914 წლისა და 1915—1917 წლების ხარჯაღრიცხვის განსახილველად.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოში** ავადმყოფებს უკვე იღებენ. დღემდე საავადმყოფოში 25 ავადმყოფი ბავშვი მიიღეს.

✦ **„ნუსხი".** 1 დეკემბრიდან ტფილისში გამოვა ყოველ კვირეული სალიტერატურო ჟურნალი „ნუსხი".

**საზოგადოებანი და კრებები**

✦ **სახალხო კითხვათა საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 26 ნოემბერს მოხდა ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით. კრებამ შეადგინა სამი სექცია: რუსული, ქართული და სომხური და დაავალა, შეადგინოს სახალხო ლექციათა თემები როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვთათვის. სახალხო კითხვები მარმანდელივით გაიმართება შემდეგს ადგილებში: ავჭალის აუდიტორიასა, სამკურნალო საზოგადოებაში, ნაძალადევსა, ხარფუხსა და ავლაბარში. კრებამ დაადგინა: შეადგინოს ახალი სია წიგნებისა და სურათებისა, მოაწყოს სინემატოგრაფიული სურათები და შეიძინოს ახალი დეკორაციები ავჭალის აუდიტორიაში წარმოდგენების გასამართავად.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** წევრთა მორიგი კრება 30 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

**სასწავლებლებში**

✦ შაბათს, 30 ნოემბერს, **დღეობაა სემინარიის ეკკლესიისა.** მწირველი იქნება ახალი ეგზარხოსი **ალექსი.** კვირას, საღამოთი, 7 საათზე, გაიმართება სალიტერატურო ვოკალურ-მუსიკალური საღამო. საღამოში, ნახევარი პროგრამა ქართულია. ზოგიერთნი მოწაფენი წაიკითხავენ ქართულად თვის ნაწარმოებს... **ეგზარხოსი ალექსი** საღამოს დაესწრება.

**სასამართლო**

✦ **ოლქის სასამართლოს სესია** შულავერს გაემგზავრა, სადაც 30 ნოემბრამდე დაჰყოფს.

**ქუთაისი.**

✦ სათათბიროს დეპუტატი **აკაკი ჩხენკელი** ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება.

**გორი.**

✦ წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს უკვე მოსდის შემოწირულება წიგნებით. მაგ. შემოსწირეს შილლერის, ლ. ანდრეევის, მოლიერის და სხვა. თხუზულებანი (რუსული), აგრეთვე თხუზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ნ. ლომოურისა და სხვა. იმედია, გორის-საზოგადოება უფრო მეტს დახმარებას გაუწევს სამკითხველოს და მით შეძლებას მისცემს მას პირნათლად ემსახუროს თავის დანიშნულებას.

✦ ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფენი 20 ნოემბერს **ორი კვირით დაითხოვეს,** რადგან რამდენიმე მოწაფე აღმოჩნდა **ყელმთმით ავადმყოფი.**

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, დეკემბრის პირველს რიცხვებში ქართველ **ქალთა წრე „მანდილოსანი"** თავის საშუალებათა გასაძლიერებლად ჰმართავს წარმოდგენას. იმედია ადგილობრივი საზოგადოება გულთბილად შეეგება ამ ფრიად სიმპატიურ გარდაწყვეტილებასაც.

**სოფლად.**

✦ **სოფ. ატოცი.** 23 ნოემბერს ადგილობრივმა ვაჭარმა როსტომოვმა დანით მოჰკლა ამავე სოფელში მცხოვრები ვანო დიდებულიძე.

# ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება

კრების გაგრძელება მოხდა გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგის **გ. ნ. ყაზბეგის** თავმჯდომარეობით. კრებას მოხსენდა ტფ. სათ.-აზნ. ქალთა სკოლის სამზრუნველო საბჭოს დებულება. კრება შეუდგა დებულების განხილვას.

თავ. გ. მაღალაშვილი თხოულობს, რომ ეხლანდელ სამზრუნველოს საბჭოს წევრნი ამოურჩევლად დარჩნენ საბჭოს წევრებად, რადგანაც ამათ დიდი სამსახური მიუძღვით საზოგადოების წინაშე, როგორც თანხის შეკრებაში, ისე სკოლის გახსნაში.

**თავმჯდომარემ** განუმარტა, რომ ამის შესახებ გამგე კომიტეტს ცალკე მოხსენება აქვსო. ინსტრუქციის მუხლების უმეტესი ნაწილი მიიღეს, ზოგიერთი გადადებული იქნა მომავალ კრებამდე. ინსტრუქცია ძალაში შევა ეხლავე და ერთის წლის შემდეგ გამგეობა წარმოადგენს იმ ცვლილებათა, რასაც საჭიროება დაანახვებს. კრებას მოხსენდა და დამტკიცებული იქნა გამგე კომიტეტის წინადადება განსვენებულ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სტიპენდიის დაარსების შესახებ.

მხედველობაში იქნა მიღებული გამგეობის მოხსენება და შემოწირულებისათვის მადლობა გამოეცხადა შემდეგ შემომწირველთ: თ. დ. ე. ჩოლოყაშვილს, ძმათა ვართანოვებს, და განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილს ქარხნის მომუშავეთ, რომელთაც სურვილი გამოსთქვეს ქართულ გიმნაზიასთან მოაწყონ დ. ზ. სარაჯიშვილის ფიზიკური კაბინეტი.

25 ნოემბერს კრება დასრულდა. უკანასკნელ კრებაზე განიხილეს საკითხი ქალთა სკოლის ტიპის შესახებ. წაკითხულ იქნა გამგე კომიტეტის მოხსენება და ქალთა სკოლის სამზრუნველოს აზრი. თავმჯდომარემ განმარტა, რომ გამგე კომიტეტმა უარჰყო იმნაირი სასწავლებელი, რომელიც ქალებსა სურთ, რადგან ქალაქში იმნაირი სკოლის გამართვა ძნელია. გ. კ. აზრით სასწავლებელი საშუალო უნდა იყოსო.

**თ. მაღალაშვილს** წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას კომისია, რომელიც გამოარკვევს, რა სჯობია გიმნაზია, თუ სპეციალური სასწავლებელი.

**დუმბაძე.** საკითხი სკოლის ტიპის შესახებ მეტად სერიოზულია. საჭიროა საზოგადო მოსაზრებანი გამოითქვას, დაწვრილებითი განხილვა კომისიას უნდა გადაეცეს.

**თავმჯდომარე** განმარტებას იძლევა, რომ გამგე კომიტეტს გიმნაზია საუკეთესოდ მიაჩნიათ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მთავრობის გიმნაზიაა.

ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გამოითქვა სამი აზრი.

1. აზრი ქალთა კომისიისა—სპეციალური სასწავლებელი.

2. გამგე კომიტეტისა,—საშუალო სასწავლებელი.

3. კომისიის არჩევა—მაღალაშვილის აზრი.

თავმჯდომარემ სამივე მოსაზრებას კენჭი უყარა.

კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ქალთა კომიტეტის რეზოლიუცია და დაადგინა გადაეცეს კომისიას. კრებამ დაადგინა, საკითხი განსახილველად გამგე კომიტეტს გადაეცეს.

შემდეგ აღიძრა საკითხი იმ ხუთი მანდილოსანის საბჭოს საპატიო მუდმივ წევრად არჩევა, რომელთაც დასდეს ღვაწლი ქალთა გიმნაზიას და მიემატოს ორი წევრიო, მაგრამ კრების უმრავლესობამ, ე. თაყაიშვილის განმარტების შემდეგ, დაადგინა, რომ ეს მანდილოსნები არჩეულ იყვნენ ტფ. დამხმარე საზოგადოების მუდმივ საპატიო წევრებად, ეხლა კი იყვნენ არჩეული სამზრუნველო საბჭოში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების მუდმივ საპატიო წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: კნ. მ. ჯამბაკურ ორბელიანისა, კნ. ე. ერისთავისა, კნ. ნ. ქობულაშვილისა, კნ. ლ. ჭავჭავაძისა და პ. დაფქვიაშვილის ასული. ისინივე არჩეულ იქმნენ ქალთა სკოლის სამზრუნველო კომიტეტში.

კრებამ მცირე კამათის შემდეგ დაადგინა: სასკოლო ექიმი მიიღონ საპენსიო ფონდის მონაწილედ, იმ დღიდან, რა დღიდანაც ეს პროცენტი ერიცხება ჯამაგირიდან აგრეთვე მოემატოს მას ხუთეულები.

კრება ღამის 12 საათზე დასრულდა.

## ისევ ძველი

ხალხის ნაფიცი ვექილები სახალხო უბედურების წინაშეც არა სცხრებიან და ჰსურთ თვით ეს უბედურებაც თავიანთი ჭუჭყიანი სურვილების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ. დასავლეთ საქართველოში შიმშილობაა. ხალხი უკიდურეს შევიწროებას განიცდის. ამისთანა დროს მაინც უნდა მოხერხებულიყო შეთანხმება, სოლიდარობა. რა გვაქვს გასაყოფი ამ უბედურების დროს? მხოლოდ შრომა, ერთსულოვანი ხალხისადმი უანგარო სიყვარულით გამოწვეული მუშაობა. მაგრამ ჩვენს დასელებს, თურმე, ამ საქმეშიაც კი ვერ შეუძლიათ დაივიწყონ თავიანთი პარტიული ინტერესი, რომელსაც მზად არიან ანაცვალონ არა მარტო თავიანთი საკუთარი სინიდისი, ხალხის ბედნიერებაც კი. დასავლეთ საქართველოში შიმშილობაა. თქვენა გონიათ, დასელები იმაზე ზრუნავენ, გამონახონ საშუალება დახმარებისა? შემცდარი იქნება, თუ ასე იფიქრებთ. დასელები მხოლოდ იმით არიან დაინტერესებულნი, რომ გამოარკვიონ, ვის ეკუთვნის ინიციატივა დახმარების აღმოჩენისა, რომელი დეპუტატი რას აკეთებს, ან როგორ მოჰხდა, რომ „სახალხო გაზეთმა“ და „ერმა“ სტენოგრაფიულად ერთნაირი დეპეშები რატომ არ მიიღეს პეტერბურგიდან. ჩხირიკედელაობა, ნაცარქექიური ჩხირიკედელაობა მაშინ, როდესაც გარშემო შიმშილობაა, როდესაც ხალხი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის და დახმარებას ელის ყველასაგან ვისაც სურვილი და უნარი აქვს დახმარებისა. ჩვენს გუშინწინდელ გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ დეპუტატს გელოვანს უბაასნია პიროგოვის სახელობის საზოგადოების წარმომადგენელთან შიმშილობის შესახებ. წარმომადგენელს დახმარება აღუთქვამს. დაახლოვებით ასეთისავე შინაარსის დეპეშა მიუღია „ერსაც“. განსხვავება, თუ „მერცხალს“ დავუჯერებთ, იმაშია, რომ „ერის“ ცნობით, დეპუტატ გელოვანისთვის უთხოვნიათ, მოაწყე ეს საქმეო. აი, ეს გარემოება გადაუქცევიათ თავიანთ მსჯელობის საგნად „მერცხლის“ ნაცარ-ქექიებს. გვასწავლიან, დახმარების აღთქმა და დახმარების ორგანიზაციის მოწყობა ერთი არ არისო. ვსთქვათ, ერთიც არ არის. მერე რაო? რა დასაშაულობაა, რომ დეპ. გელოვანისთვის ეთხოვათ ამ საქმის მოწყობა. პიროგოვის საზოგადოება ქუთაისის გუბერნიას არ იცნობს. რა გასაკვირველია, რომ პიროგოვის საზოგადოებას ქუთაისის გუბერნიის დეპუტატისთვის ეთქვას, იკისრე დახმარების ორგანიზაციის მოწყობაო. ჩვენ ასეთი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ ასეთი ფაქტი არც შეიძლება მომხდარიყო. ამისთანა რამეს ყურადღებას მხოლოდ ისეთი ორგანო მიაქცევს, რომელსაც იმდენად დამშეულთა დახმარება არ აინტერესებს, რამდენადაც დახმარება, როგორც საგიტაციო და საპროპაგანდო საშუალება. დემაგოგები ისევ დემაგოგებად დარჩნენ და ეხლა მზად არიან ხალხის უბედურებაც თავიანთ პარტიული ქინიანობის დასაკმაყოფილებელ საშუალებად გამოიყენონ.

რა მოჰხდა? რამ აუმღვრია სულის სიმშვიდე „მერცხალს“? მოგეხსენებათ თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ, როგორც დეპ. კარლო ჩხეიძე ატყობინებდა, ჯერ-ჯერობით ასი თუმანი გადასდო დამშეულთა სასარგებლოდ და ევგ. გეგეჭკორის სახელობაზე გაგზავნა ფული. ამ ამბავს იგონებს „მერცხალი“ და სწერს: „როგორც უკვე ვიცით, პიროგოვის საზოგადოებამ ქუთაისის გუბერნიაში დამშეულთა შესახებ დეპუტატ კარლო ჩხეიძეს მიჰმართა ცნობების მისაწოდებლად. საზოგადოება აგრეთვე სთხოვდა დეპუტატს, რომ დაესახელებინა ის პირები, თუ დაწესებულებანი, რომელთა საშუალებით საზოგადოებას შეეძლებოდა თვისი მიზნის განხორციელება — დამშეულთათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა“. დეპუტატმა ჩხეიძემ კიდეც დაასახელა ასეთი პირი, ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი, რომლის სახელობაზედაც გამოიგზავნა ასი თუმანი. ზემოდ მოყვანილი ციტატა სიტყვა-სიტყვით იმეორებს დეპ. კარლო ჩხეიძის დეპეშას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დეპ. ჩხეიძე იწერება პეტერბურგის **თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების** შესახებ და „მერცხალი“ კი სწერს **მოსკოვის** პიროგოვის სახელობის საზოგადოების შესახებ. ეს ორი, სხვა და სხვა საზოგადოებაა. დეპუტატს ჩხეიძეს პეტერბურგის საზოგადოებისთვის მიუმართავს, გელოვანს კი—მოსკოვის საზოგადოებისთვის.

ყოველი გულწრფელად დაინტერესებული ადამიანი გახარებული იქნებოდა, რომ ჩვენი დეპუტატები, განურჩევლად მიმართულებისა, მუყაითობას იჩენენ და ცდილობენ, რაც ძალი და ღონე აქვთ, სადაც კი ხელი მისწვდებათ, დახმარება აღმოუჩინონ დამშეულებს.

„მერცხლის“ ნაცარქექიებმა კი ეს გარემოება თავიანთ პარტიულ ქინიანობის დასაკმაყოფილებლად გამოიყენეს. როდემდის უნდა იაროთ ამ გზით? არ მოგბეზრდათ?

**გ. ბარველი.**

## სომეხთა ცხოვრება

სომხური გაზეთები სწერენ, რომ ნერსესიან სემინარიის მე 6-ე კლასის მოწაფეებს უსიამოვნება ჰქონიათ ერთ მასწავლებელთან, რომლის შემდეგ, სემინარიის ინსპექტორის განკარგულებით, მთელი კლასი დაუთხოვნიათ.

◆ გაზ. „კოვკასი ლრაბერში“ კითხულობთ, რომ ნერსესიან სემინარიის და კომერციულ სკოლის უმაღლეს კლასების მოწაფეთა შორის კვირას, 24 ნოემბერს, ვანქის ტაძრის გალავანში დიდი შეტაკება და მუშტი-კრივი მომხდარა რაღაცა კითხვის გამო. ჩხუბი შემდეგ ქუჩაში გაუმართავთ.

◆ აღა-მაჰმად-ხანის ქ. ტფილისში შემოსევის დროს ტფილისის სომეხთა წმ. გიორგის (მეიდანის) ეკლესიაში მოკლულ იქნა სახელგანთქმული აშუღი საიათ-ნოვა, რომელიც იმ დროს არქიმანდრიტად იყო ზემოხსენებულ ეკლესიაში. კავკასიის სომეხთა მწერლების საზოგადოების თაოსნობით მის საფლავზე, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, დადგმულ იქნება ძეგლი. ძეგლის კურთხევა გაზაფხულზე მოხდება.

◆ ალ. ქალანთარის ხსოვნის აღსანიშნავად დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ დღემდე შეიკრიბა 3000 მანეთი, განუძრახავთ ამ ფულით განსვენებულის სახელობაზე იყიდონ სახლი. რომელშიც მოთავსებული იქნება „მშაკის“ რედაქცია და სომეხთა სამეურნეო საზოგადოება.

◆ ანისის მონასტრების უფროსი არქიმანდრიტი მიქაელი ერთის წერილით, რომელიც დასტამბულია „მშაკში“ ეხება პროფ. მარრის შესახებ გავრცელებულ ხმებს, ვითომც მას ეთქვას, რომ ანისში არ არსებობს არც ერთი მონასტერი, რომ ყველა მონასტერი მთავრობის განკარგულებაში არიან, მაშასადამე იქ არ არსებობს მონასტრების უფროსობა. მამა მიქაელის სიტყვით, ამ გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სენატორ ვატაცის სიტყვებმა, რითაც იგი აუქმებდა ანისში ეჩმიაწინის უფლებებს. მ. მიქაელის შეკითხვაზე პროფ. მარრს შემდეგი პასუხი მიუცია: „დიახ, აქ მონასტერი და მონასტრის უფროსობა ახლა მონასტრის ძმანი არ უნდა არსებობდნენ, აქ ერთი ეკლესია უნდა იყოს საჭირო დროს სალოცავად. დღეს თქვენა ხართ მლოცველი, ხვალ შეიძლება სხვა იყოს. ეკლესიი, რომელიც გსურთ აირჩიეთ, მისი გასაღები თქვენთან შეინახეთ, ხოლო მეორე მე გადმომეცითო“. მ. მიქაელის სიტყვით, როდესაც ეს უცნობებია ეჩმიაწინის გამგეობისათვის, იქიდან შემდეგი პასუხი მიუღია: „ორივე ეკლესიის გასაღებები თქვენთან შეინახეთ, არავის არ გადასცეთ და საჭიროების დროს თვითონ თქვენვე გააღეთ და დაჰკეტეთო“. ანისის სიძველეების მარრის თაოსნობით სხვა ადგილას გადატანის საკითხს, არქიმანდრიტი მიქაელი უარჰყოფს.

## მუშათა ცხოვრება

**პენსიები.**

საზღვაო სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე გაიღოს დამატებითი კრედიტი 52.000 მანეთი მიმდინარე წლის დაზარალებულ და დაშავებულ მუშებისთვის და მათ ოჯახებისთვის.

**დაპატიმრება.**

სათათბიროს წევრს შაგოვს აცნობეს, რომ კიშინოვში ჟანდარმთა სამართველოს ბრძანებით დააპატიმრეს მეოთხე სათათბიროს ამომრჩეველი სოროკინი. შეპყრობის მიზეზი გამორკვეული არაა. აგრეთვე ცნობები მოდის, რომ რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში მრავლად აპატიმრებენ მუშებს. როსტოკინოში ბევრი გაფიცული მუშა შეიპყრეს.

**გაფიცვა.**

22 ნოემბერს პეტერბურგში, ობუხოვის ქარხანაში განცხადება გამოაკრეს; მუშებს სამუშაოდ იწვევდნენ. უამისოდ საზღვაო მინისტრი მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას არ გამართავს.

გაფიცულთა მაშინვე კრება გამართეს მოსალაპარაკებლად. ჯერ-ჯერობით მუშები გარკვეულ გზას ვერ დასდგომიან.

როგორც დეპეშათა სააგენტო იტყობინება, ობუხოვის ქარხნის მუშათა და მთავრობის მოლაპარაკება უშედეგოა. მუშათა უმრავლესობას, რომელთაც 25 ნოემბერს გამოსვლა სურვილი, 26 ნოემბერს არ უმუშავნიათ. ქარხანას პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს.

პასტორის ქარხანაში გაფიცვა მუშათა დამარცხებით დასრულდა. გაფიცულთა ადგილი ახალმა მუშებმა დაიჭირეს; ამის გამო გაფიცულთა ერთი ნაწილი დასთანხმდა ძველი პირობებით მუშაობის განახლებას.

ძველი ვულკანის ქარხანაში გაფიცვა დასრულდა. მუშათა ზოგიერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

## წერილი გორიდან

როგორც ეტყობა აღარ ხუმრობს ჩვენი სახ. უნივერსიტეტი და.... რუსულ ლექციების მთელს რიგს უმზადებს „დემოკრატიას“. 10-ში ხომ კ. ფანიევმა ჩაბულბულა რუსული „ლექცია“, ეხლა, 20 ნოემბერს, სწორედ ათი დღის შემდეგ, თვით სახ. უნივერსიტეტის თავმჯდომარემ ბ. დ. ონიაშვილმა გაგვაბედნიერა კვლავ რუსული ლექციით: „კრიზისი თანამედროვე ლიტერატურაში და დეკადენტობა“. (მაგრამ ბ. ონიაშვილს ზედვე რომ მოება მეორე ლექცია: „კრიზისი აუდიტორიაში“, უფრო კარგს იზამდა, რადგან დარბაზში მსმენელებს სკამები სჭარბობდნენ). ახირებულია სწორედ სახ. უნივ. გამგეობის ასეთი საქციელი. ვისთვის, ან რისთვის კითხულობენ ლექციებს? მდაბიო ხალხისთვის? მაგრამ ამ ხალხს რომ თავის ენის გარეშე სხვა ენა არ ესმის? ფანიევი იმით გაამართლეს—ქართული ენა კარგად არ იცისო. მაგრამ ბ. ონიაშვილმა? არც ამან იცის ქართული? როდესაც მას უსაყვედურეს—წაგვეკითხეთ, ბ-ნო, ისეთ ენაზე და ისეთი რამ, რაც ან სულს მიეცხობა, ან გონებასაო, ბ. ონიაშვილმა ასე იმართლა თავი: რა ვქნა. დიდი ხანია ეს „ლექცია“ დაწერილი მქონდა და ამიტომ წავიკითხე. ამის შემდეგ რუსულად აღარ წავიკითხავო. თურმე ბ. ონიაშვილს იმისი შინებია—დიდი ხანის ნაშრომი თაგვებმა არ დამიხრასო. იმედია იგი აღარას დასწერს თაგვების დასახვრელს და შინაარსიან ლექციებს მიაწვდის ხალხს ქართულ ლიტერატურიდან, ისტორიიდან. ეს მას შეუძლიან და მსმენელთათვისაც სასარგებლო იქნება...

***

არ შემიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს „მოღვაწეობას“. საზოგადო საკრებულო კულტურული დაწესებულებაა და როგორც ასეთი, იგი ხელს უნდა უწყობდეს, რასაკვირველია შეძლებისა დაგვარად, ყველაფერს კულტურულს. ასეა ყველგან, ასე არა ხდება მხოლოდ ჩვენს კურთხეულ გორში. იმდენად გაუტაცებია ჩვენი „კლუბისტები“ ფულის ქინიანობას, რომ საზოგადო, კულტურულ საქმეს ველარ არჩევენ უბრალო, ვაჭრულ საქმისგან. დარბაზის ქირას ახდევინებენ ღამეში ყველას, ლექციაა, წარმოდგენა, თუ კონცერტი, საქველმოქმედოა იგი თუ „უქველმოქმედო“ 25 მან. მაგრამ მათ ეს არ უკმარებიათ და გადაუწყვეტიათ უფრო მეტად გაცქვიფონ თავიანთ „კლიენტები“. დაუდგენიათ 25 მან. გარდა გადაახდევინონ ყველას თითო რეპეტიციაში 5 მან. პირველი „ექსპერიმენტი“ სახ. უნივერსიტეტზე სცადეს. „სახალხო წარმოდგენას“ აპირებდნენ, მაგრამ... ფული, ფული!.. შეჰყვირეს კლუბის მამასახლისებმა. ნინიას ბაღი ხომ არაა, რომ რეპეტიციები მუქთად გამართვინოთ!.. ჩამოთ ხუთი მანეთი თვითო რეპეტიციაში და ოცდა ხუთიანიც წარმოდგენის ღამის ქირა!. მაგრამ შენ განსაჯე, მკითხველო, როგორ შეიძლოს ამდენი ფულის გადახდა სახ. უნივერსიტეტმა, რომლის სახ. წარმოდგენების შემოსავალი საშუალოდ 40—60 მანეთს უდრის?..

მაგრამ მარტო ამაში სტყუიან ჩვენი „მამასახლისები“?..

ბევრ სხვა რამეშიც...

ამაზე შემდეგ...

**უცნობი.**

## „პედაგოგიური პასუხი“ თუ თავის ნაწარმოების რეკლამა?!

(პასუხად ბ.ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს)

საჭირო არ იყო ჩემი პასუხით მკითხველი საზოგადოების შეწუხება, რადგან არც ერთი დებულება ჩემის წერილისა დარღვეულად არ მიმაჩნია ბ.ბ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის მხრივ. პირიქით, ვინც კი საქმის გარემოებას კარგად ჩაუკვირდა, იმისთვის ცხადი გახდებოდა, რომ თუ ვისმეს ჩემი წერილის ზოგიერთ დებულებათა შესახებ ეჭვი ებადებოდა, ბ.ბ. ზედგინიძესა და ჯაფარიძის წერილის შემდეგ ყოველივე ეჭვი გაუქარწყლდებოდა, რადგან მათი კოლექტიური წერილი, ჩვენ მიერ დაგმობილ კოლექტიურ სახელმძღვანელოს დასაცავად დაბეჭდილი, საუკეთესო ბრალდებაა ამავე ნაწარმოებისა. ესევე კოლექტიური წერილი უფრო ნათლად აშკარავებს საქმეს და ამტკიცებს ჩემს სიმართლეს. ბ.ბ. ზედგინიძემ და ჯაფარიძემ ისე გამცეს პასუხი, თითქოს მე პირადად მქონოდა მათი საწინააღმდეგო რამე და წინდაწინ აკვიატებული აზრით განვიხილე მათი ნაწარმოები. გარდა ამისა, ის აზრიც გამოსჭვიოდა, თითქოს მხოლოდ მე ვიყავი ასეთი აზრისა.

რასაკვირველია, ეს ნაწარმოები, მარტო ჯაფარიძეს რომ ეკუთვნოდეს, მაშინ ჩვენ მას ბიბლიოგრაფიის ღირსადაც არ გავხდიდით, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა ჯურისა იქმნება ის ნაწარმოები „ქართველ პედაგოგისა“, რომელმაც თელავში სახალხო მასწავლებელთა კურსებზე რუსულად მისცა არითმეტიკის გაკვეთილი, თუმცა და თავისი უფროსისაგან დავალებული ჰქონდა ანგარიშის გაკვეთილი ქართულად მიეცა. და ეს ჩაიდინა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ოცდა-რვა კაცში ერთი რუსი გამოერია (იხ. ჟურნ. „განათლება“ № 2, 1912 წ „საქმე ჯაფარიძისა და დ. შემოქმედელისა“.) მაგრამ სამწუხაროდ ამავე ნაწარმოებზე უმუშავნია აგრეთვე ბ. ზედგინიძეს, რომლის შესახებ გარდა კარგისა არა გაგვიგია რა. გვსმენია ისიც, რომ განჯაში ქართველთა კრებაზე ბ-ნმა ზედგინიძემ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამხილა იქ დამსწრე ქართველი საზოგადოება, რომელიც რუსულად ბაასობდა. ზედგინიძის საწინააღმდეგო პირადად არა გვქონია, მისი მოხაქმედი კი საზოგადო საქმეს ეხება; მიუხედავად ჯაფარიძის საქციელისა მისი პირადი საწინააღმდეგოც არა გვქონია რა. არავითარი წინდაწინ აკვიატებული აზრით არ ვიხელმძღვანელნია, რასაც ამოწმებს ის გარემოება, რომ მწუხარება გამოვსთქვი: ქართველებისათვის დაკარგულია ამ ორი პედაგოგის ემოდენი ენერგია და მუშაობა.

როდესაც რედაქციამ მიიღო ბ.ბ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის შრომა: „მეთოდიური ქრისტომატია რუსული ენისა“ ნაწ. II, გადმომცა წიგნი საბიბლიოგრაფიოდ, როგორც ერთ მუდმივ თანამშრომელთაგანს. განსვენებულ ი. გოგებაშვილს არ შევხებივარ და არც ვისმე სხვას. გახვილე(?) წიგნი სრულებით მიუდგომლად, ვსთქვი ის, რაც საჭიროდ და სიმართლედ მიმაჩნდა. საზოგადოებრივი და პრესის ეთიკა ასეთია: რომ ბიბლიოგრაფიაზე პასუხის გაცემა ავტორების მხრივ შეუძლებელია. წარმოიდგინეთ მკითხველო, რას დაემსგავსებოდა გაზეთები, თუ რომ დაიბეჭდებოდა ყველა ავტორის საპასუხო ვეებერთელა წერილები, რომელთა მოთხრობა, რომანი, დრამა, ლექსი, ან სხვა რაიმე ნაწარმოები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. როდესაც კაცს რედაქციაში ს. ბიბლიოგრაფიოდ წიგნი მიაქვს, ის დარწმუნებულია, რომ რედაქცია მიუდგომელი იქნება. წინდაწინ ხომ არავინ იცის, ხელსაყრელი იქნება ბიბლიოგრაფია თუ არა? ზედგინიძეს და ჯაფარიძეს ასე უფიქრნიათ: მივიტანთ წიგნს რედაქციაში და მადლიერი რედაქტორი ქება-დიდებას შეგვასხამსო. რედაქციას სრული ზნეობრივი უფლება ჰქონდა წერილის დასტამბვაზე უარი ეთქვა, მიუხედავად ამისა, ჩვენ ადგილი დავუთმეთ ვეებერთელა პასუხს, რათა არ გვეფიქრებინა ზედგინიძისა და ჯაფარიძისათვის, რომ მათ ვსდევნით და საკითხის ნათელის-ყოფას გავურბივართ. იმის მაგივრად, რომ ჩემი დებულებანი დაერღვიათ, ბ-ნთ ჯაფარიძეს და ზედგინიძეს ათ სვეტზე გაუჭრელიგებიათ ნოტაციების კითხვა, განსვენებული ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ მიწასთან გასწორება და დასასრულ თავისი ნაწარმოების ვეებერთელა რეკლამა—მაში მოთავსებულ მასალის ქებათა ქება და მეთოდის საუკეთესოდ აღიარება. „ჩვენ, ქართველებს, ერთი ზნე გვჭირს: არ ვიცით ზომიერების დაცვა არაფერში. თუ ვაქებთ ვისმეს ან რასმეს—ცამდი ავყავს, თუ ვაგებთ(?)—სულით ხორცით შევაჩვენებთ, მიწაში ჩავ ძრენთ“—ბრძანებენ ბ.ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე. შეიძლება „თქვენთანა ქართველებს“ აგრეთვე მოსდიოდეს, ასეთი სენი სჭირდეთ, რასაც თქვენ მიერ უვარგის რუსულ სახელმძღვანელოს შედგენაც მოწმობს, მაგრამ ჩვენ ეგეთი ზნე არა გვჭირს, პირიქით, ნამეტანმა ზომიერებამ დაგვღუპა. როდესაც საჭირო იყო იმ სისტემის დასაწყისშივე ძირიანად მოსპობა, რაიც დიდიხანია აღმოცენდა ჩვენ უკულმართ ცხოვრების ნიადაგზე, ჩვენ ვზომიერობდით, ვსდუმდით კიდეც და სწორედ ამან დაგვღუპა. ამ სისტემამ ფეხი ჩვენ სახალხო მასწავლებლებშიაც მოიკიდა. არა ერთი და ორი მოძმენება ჩვენ სახალხო სკოლებში, რომელნიც რუსულ ენას უპირატესობას აძლევენ სამშობლოს წინაშე, განსაკუთრებით ეს მოვლენა ემჩნევა მასწავლებელ ქალებში. ამ თავაზიანობის და ზომიერების შედეგია ის გარემოება, რომ ჩვენ სახალხო მასწავლებლებში მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც ბედავენ ტერ-გასპარიანცების და სხვათა მოქმედების გასამართლებლად საჯაროდ გამოსვლას. (იხ. „ჩერ. ვესტ“, ოქტომბრის ნომრები, შემოქმედის სკოლის მასწავლებლის ნაკაძ ს(?) წერილი).

**კორდელი.**

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

**ბრძოლა სამშობლო ენისთვის**

რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შჩერბაკოვმა ცირკულიარი გამოსცა, რომლითაც სასოფლო და ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლებში სამშობლო ენით სწავლება აკრძალა. ამ ცირკულიარმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მკვიდრ მცხოვრებთა შორის. ცირკულიარის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა რიგის ქალაქის თვითმართველობამ. ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიებში ჰხდება სასოფლო კრებები. ყველა კრებას შჩერბაკოვის ცირკულიარის საწინააღმდეგო დადგენილება გამოაქვს.

კრებები შუამდგომლობენ, გააუქმონ ახალი ცირკულიარი და კვლავ ძველი წესი დაამკვიდრონ, რათა ბავშვებს შეძლება მიეცეთ სამშობლო ენის საშუალებით მიიღონ განათლება. აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც სკოლებში საგნებს სამშობლო ენაზე ასწავლიან, მცხოვრებთა შორის სკოლამ დიდი სიყვარული და პატივი დაიმსახურა, სკოლაში კურს დამთავრებულნიც უფრო მეტის განვითარებითა და მომზადებით გამოდიოდნენ ცხოვრებაშიო.

ლატიშთა გაზეთს მოჰყავს ლატიშთა განმანათლებელ საზოგადოების საზაფხულო სკოლის გამგის აზრი: „იქ, საცა საგნებს სამშობლო ენაზე ასწავლიანო, ბავშვები გაცილებით განვითარებულნი არიან, ვიდრე იმ სკოლებში, სადაც საგნების სწავლება სახელმწიფო ენის საშუალებით სწარმოებსო“.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**27 ნოემბერი.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** კაბინეტის საბოლოო შემადგენლობა: მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი—დუმერგი, იუსტიციისა—ბიენვენიუ-მარტენი, შინაგან საქმეთა—რენუ, ფინანსთა—კაიო, სამხედრო—ნიულანსი; საზღვაო—მონისი, განათლებისა—ვივიანი, ვაჭრობისა—მალვი, საზოგადო საქმეთა—ფერნანდ დავიდი, მიწათ-მოქმედებისა—რენო, ახალშენებისა—ლებრენი, შრომისა—მეტენი; მინისტრების ამხანაგები: შინაგან საქმეთა მინისტრისა—პერე, სამხედროსი—მაჟინო, საზღვაოსი—აჟანი, ხელოვნების საქმეთა მინისტრი—ჟაკიე, ფინანსთა მინისტრის მინისტრის(?) თანამდებობა გააუქმეს.

**პარიზი.** მთავრობის სამოქმედო პროგრამაში აღნიშნული იქნება მისი მშვიდობის მოყვარე პოლიტიკა, საარჩევნო რეფორმის შემუშავება სენატთან ერთად, რათა ამით მოარიგოს ორივე პალატა, საერო სკოლის დაცვა; ახალი კაბინეტი უმთავრესად პალატის მემარცხენე ელემენტებს დაემყარება. ფინანსთა მინისტრის კაიოს აზრით, საჭირო არ არის სესხ-ს აღება, სამხედრო ხარჯების დაფარვა კაპიტალზე გადასახადის დადებით შეიძლებაო.

**ვაშინგტონი.** პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ავალებს შტატების პრეზიდენტს ამერიკის ინტერესების გულისთვის ხელი შეუწყოს ჩერჩილის წინადადების განხორციელებას — შეჩერდეს სახელმწიფოთა ფლოტების გაძლიერება.

**ბელფასტი.** დაიჭირეს 5 ყუთი იარაღი.

**სკოპლე.** ჩრდილო ალბანეთის გამმიჯნავი საერთაშორისო კომისია პრიზრენზე რამდენიმე დღეს დარჩება; იგი მოულოდინებს მთავრობის ინსტრუქციას. ავსტრიისა და იტალიის დელეგატები მოითხოვენ პრიზრენსა და ლიუბის შორის მდებარე გორის ოლქი ალბანეთს მიეცეს. რუსეთისა და საფრანგეთის დელეგატები ამ აზრის წინააღმდეგი არიან.

**ოტავა** (კანადა). ალიასკაში მყოფი ამერიკის განაპირა ჩრდილო-დასავლეთის სამეცნიერო ექსპედიციის უფროსი იტყობინება: საექსპედიციო გემი ყინულებში გაიჭედა; ეგონათ, გემი ყინულებში იქნებოდა მთელს ზამთარს, 7 მონაწილე ნაპირზე გავიდა სანადიროდ, როცა უკან დაბრუნდნენ, გემი იქ აღარ დახვდათ; ყინული დაძრულიყო. სად არის გემი და 25 კაცი, რომელნიც გემზე იმყოფებოდნენ, არავინ იცის.

**რეიხსტაგის სხდომა.**

**ბერლინი.** რეიხსტაგში იმპერატორის კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა: პოლიტიკურმა ამბებმა სიმწვავე დაჰკარგესო. თუმცა სრული მშვიდობიანობის მოლოდინი არ უნდა ვიქონიოთ, მაგრამ მაინც ბალკანეთის კრიზისის დროს დიდი სახელმწიფონი ერთსულოვანად ჰმოქმედებდნენ, და იმედი უნდა ვიქონიოთ, დიდი სახელმწიფონი ამ სიძნელესაც სძლევენო. გერმანია კვლავ ეცდება დიდ სახელმწიფოებთან ერთად ისევე იმუშაოს, როგორც წინად. ამასთანავე გერმანია ეცდება დაიცვას თავის მოკავშირეთა, იტალიისა და ავსტრია ჰუნგრეთის ინტერესები.

კანცლერი შეეხო ბუქარესტის ხელშეკრულების გადათვალიერებას და იმედი გამოსთქვა, რომ ამ საკითხის გამო გერმანიასა და ავსტრია-ჰუნგრეთის შორის შეიძლება აზრთა სხვა და სხვაობა იყოსო, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის ამ მოკავშირე სახელმწიფოთა მეგობრულ განწყობილებასო. სამთა კავშირის ერთსულოვნება ყველაზე ნათლად ბალკანეთის კრიზისის დროს დამტკიცდა, ამასთან ერთად სამთა კავშირის ერთსულოვნება ხელს არ უშლიდა საერთო სახელმწიფოთა მუშაობას, ევროპისა და ოსმალეთის მომავალ ურთიერთობის თაობაზე კანცლერმა სასიამოვნო მოვლენა აღნიშნა: ევროპას სახელმწიფოთა ერთსულოვნება ოსმალეთის განვითარების საკითხში. გერმანია კარგ განწყობილებაშია ინგლისთან და ორ მოკავშირე სახელმწიფოსთანო. კანცლერმა სთქვა: რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოკოვცევს ვებაასე და ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ რუსეთი სრულიადაც არ არის მოწადინებული მცირე აზიაში მიწა-წყალი შეინარჩუნოს. რუსეთის მისწრაფება სრულიად ეთანხმება ჩვენს სურვილს, იგი ჩვენთან ერთად აღიარებს, რომ სომხეთში რეფორმების გაყვანა თვითონ ოსმალეთისთვის არის სასარგებლოო. ამ მოკლე ხანში ოსმალეთის მომავალზე სახელმწიფოთა შორის დავა არ არის მოსალოდნელი. მცირე აზია წარმოადგენს სხვა და სხ. სახელმწიფოთა ეკონომიურ მეტოქეობის ასპარეზს. გერმანიაც ფრიად არის დაინტერესებული, მასაც აქვს მცირე აზიაში დიდი ეკონომიური ინტერესები. ეს გარემოება ჩვენგან მეტ ყურადღებას მოითხოვსო. კანცლერმა დაწვრილებით აღნიშნა ინგლის-გერმანიის ურთიერთობა, და სიამოვნებით აღნიშნა, ამ ბოლო ხანს ინგლისთან განწყობილება თანდათან და შეუჩერებლივ უმჯობესდებაო. გერმანიის მდებარეობა ევროპის შუაგულში გვავალებს ხელი შეუწყოთ გერმანის ძლევა მოსილების

განვითარებასო. უკანასკნელი კი დაჟინებით გვიკარნახებს გავაფართოვოთ მსოფლიო ეკონომიური ურთიერთობანი, მხოლოდ უნიადაგო ურწმუნობა, თუ შეუძლიან უარჰყოს ის გარემოება, რომ გერმანია ამ მიზნის მისაღწევად დაუღალავად მუშაობს რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს მიზანი ფრიად დიდია და მისი მიღწევა მხოლოდ მტკიცე და განუწყვეტელი შრომითა შეიძლებაო.

კანცლერს სიტყვას ხშირად მხურვალე ტაშის ცემით აწყვეტინებდნენ.

სოციალ-დემოკრატმა შეიდემანმა სთქვა, თვითონ კანცლერი ჰქმნის არეულ-დარეულ მდგომარეობასო. საჭიროა, ვიპოვოთ ამ გასაჭირიდან გასავალი, რომელიც გერმანიის ღირსებას დააკმაყოფილებდესო. მოლაპარაკე ეკითხება კანცლერს, აქვს თუ არა მას უფლება თავისი თავი გერმანიის ხალხის წარმომადგენლად ჩასთვალოს სხვა სახელმწიფოთა წინაშე, მას შემდეგ რაც რეიჰტაგის უმრავლესობამ კანცლერს უნდობლობა გამოუცხადა; საქმე სამინისტროს დამხობა კი არ არისო, სთქვა მოლაპარაკემ, არამედ მონარქის ობსოლიუტიურ უფლების შეზღუდვაო. მართალია, იმპერატორს შეუძლიან დანიშნოს კანცლერი, მაგრამ ის კი არ შეუძლიან რეიჰსტაგი კანცლერთან ერთად ამუშაოსო. სოციალ-დემოკრატები წინადადებას მისცემენ რეიჰსტაგს ხარჯთაღრიცხვიდან ამოშალონ კანცლერისა და სამხედრო მინისტრის შესანახი ფული.

შეიდემანს უპასუხებს კანცლერი.

იგი პროტესტს გამოსთქვამს მის სიტყვების წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს, მომანდეთ მე გერმანიის საგარეო პოლიტიკის დაცვაო. საზღვარ-გარედ ამაზე სულ სხვანაირად ფიქრობენ ვიდრე შეიდემანიო (მოწონება მარჯვნივ), რაც შეეხება რეიჰსტაგის მიერ უნდობლობის გამოთქმას, კანცლერი ამბობს: წელიწად ნახევრის წინ დადგენილი იყო უნდობლობის გამოთქმა კანცლერისადმი ინტერპელიაციის შემდეგ ჰნიშნავს მხოლოდ, რომ კანცლერი ამა თუ იმ საკითხზე სხვა აზრისა და რეიხსტაგი სხვა აზრისა, — არც მეტი, არც ნაკლები, ეხლა კი ამ უნდობლობითა ჰსურთ ძალა იხმარონ იმპერატორისა და კანცლერის დადგენილებაზე; ეს არის შერყვნა გერმანიის საკონსტიტუციო დებულებისა, ეს არის პარლამენტის ბატონობის განდიდება! (მემარცხენეთა ადგილებზე მოძრაობაა; მარჯვნივ: „ვაშა!“) მე მთელი ჩემი ძალღონით ვებრძვი კონსტიტუციის გადამახინჯებას. თანახმად საიმპერატორო კონსტიტუციისა იმპერატორსა აქვს უფლება დაჰნიშნოს და გადააყენოს კანცლერი (ხმები მარცხნივ: „საუბედუროდ!“). წარსულ ხუთშაბათის უნდობლობის გამო მე არ მითხოვნია თანამდებობიდან გადადგომა და უნდა მოგახსენოთ, არც კვლავ ვითხოვ. მე არა მსურს უნდობლობის გამოთქმა დავამცირო, მაგრამ მე მსურს მას სათანადო მნიშვნელობა მოუპოვო. კანცლერი ამაღლებული ხმით ათავებს თვის სიტყვას: როგორც კი დავინახავ რომ ჰსურთ შეზღუდონ იმპერატორის უფლება, მთელი ჩემი ძალღონით აუმხედრდები ამ სურვილს. გერმანიის ერი არ მოისურვებს იმპერატორის ძალა და უფლება დაუქვემდებაროს სოციალ-დემოკრატთა სურვილებს და ძალას!

კანცლერის სიტყვამ თვისი სიმკაცრითა და ენერგიანობით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეიჰსტაგზე.

**პარიზი.** სოციალისტთა და რადიკალთა გაზეთების გარდა პრესის უმრავლესობა უარყოფით ეკიდება ახალ კაბინეთს. სხვათა შორის, აღნიშნავენ, რომ პალატა მოსთხოვს დუმერგს ნათელი და გარკვეული აზრი გამოსთქვას სამხედრო ბეგარის სამი წლის ვადის თაობაზე.

**სოფია.** არჩევნების შედეგი ჯერ არის გამორკვეული. შინაგან საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ მთავრობამ ხმის უმეტესობა მიიღო.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გზათა კომისია შეუდგა ახალ გზების გაყვანის პროექტთა განხილვას.

**ვიბორგი.** ციხე-სიმაგრის უფროსმა ბრძანება გასცა სამი დღის განმავლობაში ვიბორგის ოლქიდან გააძევონ: ალექსანდრე კოხი ოჯახითურთ.

**იალტა.** ობერ პროკურორი საბლერი მოვიდა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 28 ნოემბერს, ქართულ თეატრში ნიჭიერის მსახიობის **ნინო ჩხეიძის** საბენეფისოდ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ჟულავსკის ცნობილი პიესა „ეროს და ფსიქეა“ პიესა ნათარგმნია ლექსად მგოსან ქალის ბაბილინას მიერ. პიესაში მონაწილეობას იღებს ქართულ თეატრის მთელი დასი და აგრეთვე „სახალხო სახლთან“ არსებულ ქართული წრის სცენის მოყვარენი. ქ-ნი ნ. ჩხეიძე ფსიქეას როლს შეასრულებს. პიესას რეჟისორობს მ. ქორელი.

ქ-ნ **ელ. ჩერქეზიშვილს საბენეფისოდ** აურჩევია ბ-ნ ირეთელის ახალი ორიგინალური კომედია **„ბედნიერი დღე“**. ბენეფისი იქნება მომავალ იანვარში.

**ოსური წარმოდგენა** სახალხო სახლში 28 ნოემბერს ოსების დრამატიული წრე წარმოადგენს ორიგინალურ პიესას **„ორი და“**—თარ. ე. რატაევისა. ადგილების ფასი—5—50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**გორი.** შაბათს, 30 ნოემბერს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში გაიმართება საინტერესო წარმოდგენა სალიტ. საკონცერტო განყოფილებით **ადგილობრივ პროფესიონალურ სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.** წარმოდგენილ იქნება ვერნერის ერთ მოქმედ. დრამა „მამის წყევლა“. სალიტერატურო-საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ **თ. რაზიკაშვილი, ს. ფაშალიშვილი,** კნ. ფალავანდიშვილისა, კნ. თარხნიშვილისა, ე. ხუციშვილი, ონიაშვილი და სხვ. დასასრულ—ცოცხალი სურათები „ვეფხის ტყაოსნიდან“. საღამოს შემდეგ გაიმართება ცეკვა. საღამოს დიასახლისობა იკისრა ქალაქის თავის მეუღლემ ა. ი. ქიტიაშვილისამიმედია, გორის საზოგადოება ბლომად დაესწრობა ამ წარმოდგენა-სა, ღამოს და მით დახმარების ხელს გაუწვდის იმ ღარიბ მოწაფეთ, რომელთაც ამ სკოლისთვის შეუფარებიათ თავი.

**ბაქო.** კვირას, 24 ნოემბერს, აქ „დ. კლდიაშვილის საღამო“ გაიმართა. ბაქოელ ქართველებისთვის ეს საღამო ნამდვილ სადღესასწაულო საღამოდ გადაიქცა, რადგან იგი გაიმართა თვით ნიჭიერ მწერლის დავით კლდიაშვილის თანასწრებით და მონაწილეობით. დავით კლდიაშვილი პირველად იყო ბაქოში და, რაკვირველია, ყველას ენატრებოდა მისი ნახვა. სწორედ ამით აიხსნება, რომ თეატრი მთლად გაიჭედა. სამწუხაროდ, ჩვენი თეატრის პატარა დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია და ბევრი გულდაწყვეტილი უკან დაბრუნდა.

საღამო დაიწყო ახალგაზრდა დრამატურგის სიო ჰანტურიშვილის სიტყვით. მოკლე, მაგრამ ლამაზად წარმოთქმულ სიტყვაში იგი შეეხო დ. კლდიაშვილს და აღნიშნა უმთავრესი მოტივები მისი შემოქმედებისა. ლექტორი ხანჯაძლივის ტაშით დააჯილდოვეს.

შემდეგ წარმოდგენილ იქმნა „ირინეს ბედნიერების“ პირველი მოქმედება. მეტად შეწყობრად და მოხდენილად ჩაიარა ამ მოქმედებამ. რეჟისორს ნ. გვარაძეს და მოთამაშეებს ყოველი ღონე ეხმარათ, რომ სრული ანსამბლი დაეცვათ. ამ საღამოთი მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცია ფილიპე ბარბაქაძის როლის ამსრულებელმა ა ქარქაშაძემ (ფსევდონიმია). ბუნებრიობა და მხატვრული ზომიერება ახასიათებდა მის თამაშობას, ყოველი სიტყვა და მიხვრა-მოხვრა გათვალისწინებული ჰქონდა. კარგები იყვნენ აგრეთვე მატარაძე (აბესალომ საღამთაძე) და არეშიძე (პავლე როდომაშვილი). დანარჩენნი ხელს უწყობდნენ ანსაბლს.

მცირე ანტრაქტის შემდეგ, როდესაც ხელ-ახლა ფარდა აიხადა, სცენაზე გამოჩნდა დავით კლდიაშვილი. რამდენიმე წუთს არ შეწყვეტილა ტაშის-ცემა. ნიჭიერმა ბელეტრისტმა წაიკითხა ერთ-ერთი თავისი პატარა მოთხრობა, და დასასრულს, კვლავ გაისმა მხურვალე ტაში.

ბოლოს დასდგეს დ. კლდიაშვილისავე სურათი „დარისპანის გასაჭირი“. ამ პიესამაც კარგად ჩაიარა. დისსონანსი შეიტანა საერთო მწყობრ თამაშობაში მხოლოდ ოსიკო ხარებაძის როლის ამსრულებელმა, რომელმაც სრულ იდიოტად დახატა ხარებაძე, რასაც პიესა არ მოითხოვს. დარისპანის როლი ისევე დაკვირვებით ჩაატარა ქარქაშიძემ, როგორც ბარბაქაძისა პირველ პიესაში. ამ საღამოს პირველად გამოვიდა ბაქოს სცენაზე ქ-ნი წულუკიძისა და კარგადაც შეასრულა პელაგიას როლი.

ფარდის ჩამოშვების შემდეგ დ. კლდიაშვილს, ამ დროს დარბაზში მყოფს, ხალხი შემოეხვია და ტაშის ცემა კიდევ დიდხანს არ შეწყვეტილა...

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 1 დეკემბერს, დასდგამენ ახალ პიესას „იუდას ამბორს“, ხოლო 8 დეკემბერს გაიმართება სადღესასწაულო საღამო სუფლიორის მიხეილ მარჯანიშვილის 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

## წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, კეთილ ინებოთ და თქვენი პატივცემულის „სახალხო გაზეთის საშუალებით ჩემი უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს და შემოსწირეს თვიანთი წვლილი ჩემდამო რწმუნებულ ქვედაშხეფის მთავარ ანგელოზის ეკლესიის სასარგებლოდ: ბ. აგეზილაი ავალიშვილმა ასი მანეთი და შემდეგაც აღგვითქვა ნივთიერი დახმარება. ქალ. სოფია გერმანოვიჩისამ სამი მანეთი. ორ-ორი მანეთი: ქალ. სონია ქავთარაძისამ და ბ. ანდრია ლევანის ძე ქავთარაძემ. თითო მანეთი: ბ. ბ. სამსონ მუმულიამ, მურზაყან ქავთარაძემ, მაკრინე ქავთარაძისამ, სარდიონ ქავთარაძემ, ქალ. მატრონა კალანდარიშვილისამ, მინადორა კალანდარიშვილისამ, დომნიკა ბედიასამ, აგრაფინა დვალისამ, ანნა გამზარდიასამ, ელისაბედ ჰანტურიასამ, ნინო გვიჩიასამ, ეფროსინა კალანდარიშვილისამ, ოლღა ლორთქიფანიძისამ, ფატი ჩხეტიასამ, ლელოსი ჯაკობიასამ, სონია ლექავასამ, მარიამ ხოფერიასამ, მღვდელმა გრიგოლ სახოკიამ და ანდრია ინჯიამ.

ათი შაური აზნაურმა ნესტორ ერისთოს ძემ ძიძიგურმა, მანვე შემოსწირა ხატი ხუთ მანეთად ღირებული, ათი შაური ფულად და ხატი ოთხი და ათიშაურად ღირებული მარიამ ჩხვიკვიშვილისამ, ათ-ათი შაური: კატო შეროზიასამ, რაჟდენ იოსელიანმა, მართა და ვერა ჯიშკარიანებმა, ანეტა გრიგოლიასამ, პეტრე დგებუაძემ, მარკოზ ხუნწარიამ, იოსებ მადიგოვმა, კონსტანტინე შენგელიამ, იაგორა გუნიამ და ანეტა მისაფიშვილისამ. ექვსი შაური: თეოფანე კინწურეიშვილმა, ხუთი შაური ბახვა გრიგოლავამ, თითო აბაზი: ივანე მაქსიმეს ძე ხოფერიამ, გრიგოლი გრიგოლავამ, ივანე გვარამიამ, ფილიპე დაშენიამ და სოფია ჩიკობავასამ, სამი შაური ნესტორ კვერკველიამ.

სრულიად ას ოცდათოთხმეტი და ერთი აბაზი. (134 მ. 20 კაპ.)

ამ ფულიდან ასი მანეთი მიეცა კანკელის გამკეთებელს და შეძენილ იქმნა ერთი ზარი წონით ერთი ფუთი და ხუთი გირვანქა, ღირებული ოცდახუთი მანეთი და ერთი შაური, დანარჩენი მოხმარდა წვრიმალ ხარჯს.

მღვდელი ქვედა შხეფს მთავარ ანგელოზის ეკლესიისა.

**ევსევი ხოფერია.**

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადო „მუხრანის სამკურნალოს“ ექიმებს:

ე. ფ. ნათიშვილს, ლ. დ. ფავლენიშვილს და ბ. ციციშვილს ჩემი ხანგრძლივი და უსასყიდლო წამლობისათვის.

**მსახიობი ვ. მ. გამყრელიძე.**

რედაქტორი **ნ. ყურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**სტუდენტი ფილოლოგი**
გამოცდილი რეპეტიტორი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.
პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პრიუტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა**
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველ თვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ქალაქის საავადმყოფოები**
**მთავარი**— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
**ზ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბახსაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ა. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღდანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა.** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
**ქ დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნაგახარდიანი.** 100



1523

**„გამოცემა სორაპნისა“**
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული
**კედლის კალენდარი 1914 წ.**
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
**ფ ა ს ი 40 კ ა პ.**
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.
**სახალხო კალენდარი 1914 წ.**
დ ა ს უ რ ა თ ე ბ უ ლ ი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ
**ფ ა ს ი 20 კ ა პ.**
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“ 1592.

**12 ქართული წიგნი 1 მანეთად გაგზავნით!**
მიიღება ხელის-მოწერა 12 წიგნზე სწავლა-აღზრდის იდეალთა და სამეურნეო-სამკურნალო ახალ ცნობათა შესახებ. თვითეული წიგნი იქნება 16 გვერდი, საშუალო ზომისა და გამოვა თვეში არა ნაკლებ ერთის წიგნისა. პირველი წიგნი **„საფუძვლები ზნეობრივი აღზრდისა ჩვენს დროში“** გამოვა პირველ იანვრისათვის 1914 წლისა და მაშინვე დაურიგდება ხელის-მომწერლებს ფოსტით. დანარჩენი წიგნები იქნება: 2) საფუძვლები გონებრივი აღზრდისა ჩვენს დროში; 3) როგორ უნდა ვასწავლიდეთ წერა-კითხვას; 5) ახალი სკოლა ევროპასა და ამერიკაში; 6) როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბულგარეთში და სხვანი. შიგა და შიგ ამავე წიგნებში ჯავბეჭდავთ სამეურნეო-სამკურნალო ახალ ცნობებსაც და ხელის-მომწერთა სახელ-გვარსაც. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Тифлисъ, Тумановскій пер., 24, Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში ხელის მოწერა მიიღება ჩვენთან, წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სორაპნის“ სტამბაში. 824



იმშა იმშა
ჩვენ, ყველანი აღტაცებულნი ვართ **„იმშა მეტამორფოზას“** კრემის საპონისა და ფერ-უმარილის საუცხოვო ღირსებით. იგი საუკეთესო საშუალებაა ჭორფლისა და ფერის-მჭამელის მოსასპობად და სახის სითეთრის მოსაგვარად. იყიდება სააფთიაქო საქონელთა კავკ. საამხ. მაღაზიაში, ძმებთან ტერ-ტეროვებთან, ვ. გ. ზურაბოვთან, „სოლოტატში“ და სხვა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებში და აფთიაქებში. წარმომადგენელი მ. ბ. **რაშკოვსკი,** ოდესა, საფოსტო ყუთი № 1248. 792

გამოსულია და იყიდება
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**მუდამ დღე მოგვდის**
**ახალ-ახალი**
თევზის მრეწველნი
**ძმ. ძეგველოვები.**
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის **ხიზილალა.**
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო, აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და **კონსერვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
**ტელეფონი № 712.**
1560

**Верійская парная баня**
ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
**ზ. ი. აბრამაშვილის აბანოში**
ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკმახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.